

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფარკონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	8
4. ძირითადი საშუალებები	14
5. არამატერიალური აქტივები	15
6. ფულადი სახსრები.....	15
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	16
9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება.....	16
10. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება.....	17
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
12. დარიცხული ვალდებულებები.....	18
13. ამონაგები.....	18
14. სხვა შემოსავალი	18
15. მიწოდების ხარჯი.....	18
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	18
17. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	19
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	20

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4 946 113	4 419 867
არამატერიალური აქტივები	5	25 715	37 443
		4 971 828	4 457 310
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	556 846	1 047 671
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3 905 355	3 531 392
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	3 554 585	2 932 467
საგადასახადო აქტივები		-	38 497
		8 016 786	7 550 027
მთლიანი აქტივები		12 988 614	12 007 337
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		35 100	35 100
გაუნაწილებელი მოგება		1 860 852	1 820 395
რეზერვები და დაფინანსება		102 993	102 993
		1 998 945	1 958 488
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	5 214 819	6 191 777
		5 214 819	6 191 777
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	1 146 679	695 532
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4 045 090	2 991 216
საგადასახადო ვალდებულებები		29 432	19 128
დარიცხული ვალდებულებები	12	553 649	151 196
		5 774 850	3 857 072
მთლიანი ვალდებულებები		10 989 669	10 048 849
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		12 988 614	12 007 337

მამუკა ალფაიძე
დირექტორი

თამარი ჭაბუკიანი
ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4 946 113	4 419 867
არამატერიალური აქტივები	5	25 715	37 443
		4 971 828	4 457 310
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	556 846	1 047 671
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3 905 355	3 531 392
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	3 554 585	2 932 467
საგადასახადო აქტივები		-	38 497
		8 016 786	7 550 027
მთლიანი აქტივები		12 988 614	12 007 337
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		35 100	35 100
გაუნაწილებელი მოგება		1 860 852	1 820 395
რეზერვები და დაფინანსება		102 993	102 993
		1 998 945	1 958 488
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	5 214 819	6 191 777
		5 214 819	6 191 777
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	1 146 679	695 532
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4 045 090	2 991 216
საგადასახადო ვალდებულებები		29 432	19 128
დარიცხული ვალდებულებები	12	553 649	151 196
		5 774 850	3 857 072
მთლიანი ვალდებულებები		10 989 669	10 048 849
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		12 988 614	12 007 337



მამუკა ალფაიძე
დირექტორი

თამარი ჭაბუკიანი
ბუღალტერი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	13	7 421 929	5 271 577
თვითღირებულება	8	(5 996 359)	(3 212 875)
საერთო მოგება		1 425 570	2 058 702
სხვა შემოსავლები	14	173 874	101 737
მიწოდების დანახარჯები	15	(568 418)	(281 010)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(716 907)	(1 170 329)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)-წმინდა		842 346	19 084
სხვა ხარჯი		(56 267)	(30 505)
საოპერაციო მოგება		1 100 198	697 679
ფინანსური ხარჯი		(241 495)	(232 281)
მოგება დაბეგვრამდე		858 703	465 398
მოგების გადასახადი		(66 366)	(793)
წმინდა მოგება (დაუფარავი ზარალი)		792 337	464 605
მთლიანი სრული შემოსავალი		792 337	464 605

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	35 100	-	1 355 790	102 993	1 493 883
წმინდა მოგება/ზარალი	-	-	464 605	-	464 605
2021 წლის 31 დეკემბერი	35 100	-	1 820 395	102 993	1 958 488
წმინდა მოგება/ზარალი	-	-	792 337		792 337
განაწილებული დივიდენდი			(751 880)		(751 880)
2022 წლის 31 დეკემბერი	35 100	-	1 860 852	102 993	1 998 945

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	8 025 075	6 094 025
მიღებული პროცენტები	122 107	73 016
სხვა შემოსავლების სახით მიღებული ფული	102 595	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(6 878 502)	(8 342 958)
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	-	(4 405)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(624 891)	(500 261)
გადახდილი გადასახადები	(703 474)	(331 139)
გადახდილი პროცენტები	(142 533)	(156 112)
დაბრუნებული გადასახადები	8690	5 125
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(90 933)	(3 162 709)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენასა და შექმნაში გადახდილი ფული	(286 213)	(344 601)
გაცემული დივიდენდი	(350 000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(636 213)	(344 601)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	1 361 718	5 091 071
სესხის დაფარვა	(1 036 348)	(1 127 854)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	325 370	3 963 217
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	(401 776)	455 907
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	1 047 671	644 689
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(89 049)	(52 925)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	556 846	1 047 671

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ფარკონი“-ს ჯგუფისთვის (შემდგომში ჯგუფი) შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ფარკონი“, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრირებულია ქ. ქუთაისის სასამართლოს მიერ 15.05.1997 წელს, რეგისტრაციის №12/4-646 საიდენტიფიკაციო ნომერი 212696929

საწარმოს იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 51ა

საწარმოს პარტნიორებია არიან:

ბატონი მამუკა ალფაიძე-წილის და ხმის უფლების 49%-ის მფლობელი;

შპს „VIGOR GROUP“ - წილის და ხმის უფლების 51%-ის მფლობელი: საზოგადოება რეგისტრირებულია 26.07.2013 წელს ლატვიის რესპუბლიკაში; სარეგისტრაციო ნომერი 4010394438, იურიდიული მისამართი: ქ. რიგა, ძელზავას ქ. 74, კ-1-2 LV-1082

შპს VIGOR GROUP-ის პარტნიორი და 100%-ის წილის მფლობელი პარტნიორი ფიოდორ მახატილო ლიეტუვის რესპუბლიკის მოქალაქე. იგივე პირი არის კომპანიის ხელმძღვანელიც.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის (მცენარეების) შესყიდვა, გადამუშავება და რეალიზაცია. რეალიზაციის ძირითადი ნაწილი ექსპორტია.

საწარმო „ფარკონი“ არის ერთი შვილობილი კომპანიის შპს „ქართული დაფნის“ მშობელი საწარმო, სადაც ის წილის და ხმის 100%-ს ფლობს.

შპს „ქართული დაფნა“ დაფუძნებულია შპს „ფარკონი“-ს მიერ 2014 წლის 12 აგვისტოს, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო № 412701642

შპს „ქართული დაფნის“ იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 51ა; ფაქტობრივი მისამართი-საქართველო, ვანი, სოფ. ზვანა.

შპს „ქართული დაფნა“ აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ძირითადად დაფნის) შესყიდვას, გადამუშავებას და რეალიზაციას ექსპორტით.

2. მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად .

ჯგუფის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრისათვის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებას, 2022 წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2021 წლის შესადარის ინფორმაციას.

ჯგუფის სათავე საწარმო (51% წილის და ხმის უფლების მფლობელი) შპს „VIGOR GROUP“ არ წარადგენს 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდალურ წელს. წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

საწარმო ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდით. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სადარიცხვო

ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

ჯგუფის მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად ჯგუფი იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საწარმოს (სათავო) და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს სათავო საწარმო. კონტროლი ნიშნავს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

საწარმო „ფარკონი“ საწარმო „ქართულ დაფნა“-ში წილისა და ხმის უფლების 100% ფლობს.

საწარმო „ფარკონი“ შვილობილ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას ასახავს შემენის თვითღირებულებით, გაუფასურებული ზარალის გამოკლებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთიანი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ, სადაც გაერთიანებულია სათავო და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები. მუხლობრივად უგულებელყოფილია სათავო საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალი. მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელ საწარმოს.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ჯგუფი ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება;

სასესხო ვალდებულება - ფინანსური ვალდებულება.

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც ჯგუფი გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, ჯგუფი მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (**გარიგების დანახარჯების ჩათვლით**, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას ჯგუფისთვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ჯგუფი ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების აღიარება და შეფასება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი ცალ-ცალკე აფასებს გაუფასურებას შემდეგი ფინანსური აქტივებისთვის:

- (ა) ყველა წილობრივი ინსტრუმენტი, მათი მნიშვნელობის მიუხედავად; და
- (ბ) სხვა ფინანსური აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორიცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ჯგუფმა უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა

გასდის ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

- (ბ) ჯგუფი ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულდება ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია სცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

ჯგუფს ისტორიულად არ ჰქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

ჯგუფი მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველაწარმო

დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვეთება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- შენობა-ნაგებობები-10-30წ.
- მანქანა-დანადგარები - 5-25წ.
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5-10 წ.
- ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წ.
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წ.

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობები - მათი გამოყენების ვადის საფუძველზე; პროგრამული უზრუნველყოფისათვის 10 წელი.

3.10 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.11 ამონაგები

ამონაგები მზა პროდუქციისა და საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება, როგორც ამონაგები და ხარჯი, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.12 გრანტები

ჯგუფი სახელმწიფო გრანტს აღიარებს შემდეგნაირად:

გრანტს, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში აღიარებს მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება.

გრანტს, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისაგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარებს, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება.

ხოლო თუ ჯგუფი მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთ გრანტს აღიარებს, როგორც ვალდებულებას.

ჯგუფი გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

3.13 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, საგადასახადო კონტროლი ხორციელდება ჯგუფურ (ნაერთ) საგადასახადო დავალიანებაზე. ამიტომ ჯგუფი საგადასახადო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე.

3.14 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება

ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.15 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

3.16 შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავენ:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება ჯგუფის მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.17 ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

მხარეები ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	168 250	683 879	1 900 889	2 155 223	44 503	82 261	134 910	5 169 915
შემოსვლა	-	141 596	1 047 714	228 778	2 890	610	13 000	1 434 588
გასვლა	-	(671 775)	-	(31 980)	(6 747)	(122)	(7 000)	(717 624)
31 დეკემბერი 2022	168 250	153 700	2 948 603	2 352 021	40 646	82 749	140 910	5 886 879
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2021	-	-	(241 464)	(448 127)	(16 433)	(16 589)	(27 433)	(750 048)
პერიოდის ცვეთა	-	-	(65 058)	(141 303)	(6 406)	(7 398)	(14 233)	(234 397)
გასვლა	-	-	-	29 955	6 746	122	6 856	43 679
31 დეკემბერი 2022	-	-	(306 522)	(559 477)	(16 092)	(23 865)	(34 810)	(940 766)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	168 250	683 879	1 659 425	1 707 096	28 070	65 672	107 477	4 419 867
31 დეკემბერი 2022	168 250	153 700	2 642 081	1 792 547	24 554	58 884	106 100	4 946 113

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

სს „პროგრედიტ ბანკი“-ს მიერ მსესხებლის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მესაკუთრე ბანკის სასარგებლოდ, იპოთეკით დატვირთულია ჯგუფის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. კერძოდ მიწა და შენობა - ნაგებობა.

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	53 250	31 477	84 727
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	(20 250)	-	(20 250)
31 დეკემბერი 2022	33 000	31 477	64 477
ცვთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2021	(41 475)	(5 809)	(47 284)
პერიოდის ამორტიზაცია	(8 676)	(3 052)	(11 728)
გასვლა	20 250		20 250
31 დეკემბერი 2022	29 901	8 905	38 762
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	11 775	25 668	37 443
31 დეკემბერი 2022	3 099	22 572	25 715

სარეგისტრაციო მოწმობები წარმოადგენს სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობებს, რომლებიც მიღებულია 44 დასახელების სამკურნალო საშუალებებისთვის და მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 წლით.

პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს ბუღალტრულ პროგრამას "ორის ბუღალტერია", რომლის გამოყენების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

6. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები 2022 და 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	14 432	560 024
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	46 771	168 491
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	495 643	319 156
სულ	556 846	1 047 671

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	1 188 914	938 982
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(24 491)	(772)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1 164 423	938 210
გადახდილი ავანსები	2 740 932	2 593 182
სულ	3 905 355	3 531 392

ჯგუფი საექვო ვალების დარეზერვებას ანხორციელებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მეთოდით.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022	2021
საქონელი	2 620 548	2 157 128
ნედლეული და მასალები	402 427	336 648
დაუმთავრებელი წარმოება	12 363	14 573
მზა პროდუქცია	349 317	303 199
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	169 930	120 919
სულ	3 554 585	2 932 467

ჯგუფი მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 5 996 359 ლარი (2021 წელს 3 212 875 ლარი).

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

ა) ჯგუფს 2020 წლის 06 აგვისტოს ხელშეკრულებით მიღებული აქვს გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი ურთიერთდაკავშირებული მხარისგან შპს „VIGOR GROUP“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 1 259 857 ევროს (ექვივალენტი ლარში 3 633 932 ლარი.) წლიური საპროცენტო განაკვეთი 2%.

ბ) ჯგუფს 2021 წლის 09 ივნისის შეთანხმებით მიღებული აქვს გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი ურთიერთდაკავშირებული მხარისგან შპს „VIGOR GROUP“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 326 488 დოლარს (ექვივალენტი ლარში 882 170 ლარი.)

ასევე სს „პროგრედიტ ბანკი“-სგან მიღებული აქვს ხუთი სესხი:

ა) 2020 წლის 25 ივნისის ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს 270 000 ლარის ოდენობით გრძელვადიანი აგრო სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი – 12,25%, კრედიტის ვადა – 48 თვე. ნაშთი პერიოდის ბოლოს 41 335 ლარი.

ბ) 2021 წლის 10 თებერვალს ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს 410 000 ლარის ოდენობით გრძელვადიანი აგრო სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი - 12 %, კრედიტის ვადა - 60 თვე. ნაშთი პერიოდის ბოლოს 207 414 ლარი.

გ) 2021 წლის 22 ნოემბერს ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს 150 000 ლარის ოდენობით გრძელვადიანი აგრო სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი - 13.5 %, კრედიტის ვადა - 48 თვე. ნაშთი პერიოდის ბოლოს 85 390 ლარი.

დ) 2022 წლის 05 აპრილს ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს 450 000 ლარის ოდენობით გრძელვადიანი აგრო სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი - 15 %, კრედიტის ვადა - 60 თვე. ნაშთი პერიოდის ბოლოს 336 271 ლარი.

ე) სს „პროგრედიტ ბანკისგან“ 2019 წლის 13 სექტემბერს აღებული აქვს აგრო სესხი 150 000 ლარის ოდენობით. ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ (ს/კ 404923785) (შემდგომში „სააგენტო“) მიერ საგრანტო დაფინანსების საფუძველზე განხორციელებული „შელავათიანი აგრო კრედიტის“ პროექტის (შემდგომში „პროექტი“) ფარგლებში. დაფარვის ვადა 60 თვე, საპროცენტო განაკვეთი 3,5%. სასესხო ვალდებულება უზრუნველყოფილია საწარმოს უძრავი ქონებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ნაშთი შეადგენს 28 307 ლარს.

გრძელვადიანი სესხების ჯამური ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - 5 214 819 ლარს, ხოლო 2021 წლის ბოლოს გრძელვადიანი სესხის ჯამური ნაშთი შეადგენდა - 6 191 777 ლარს.

10. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება

ა) ჯგუფს 2022 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებით მიღებული აქვს მოკლევადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი SIA „BioIngredients TN“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 150 000 ევროს (ექვივალენტი ლარში 432 660 ლარი.)

ბ) სხვა მოკლევადიანი სესხები 290 391 ლარი წარმოადგენს გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილს.

ჯგუფს სს „პროგრედიტ ბანკისგან“ 2021 წლის 15 ივნისს აღებული ჰქონდა მოკლევადიანი სესხი საკრედიტო ხაზის სახით, რომლის ლიმიტი შეადგენდა 450 000 ლარს, თანხის სრულად დაფარვა მოხდა 2022 წლის 15 ივნისს.

2022 წლის 13 სექტემბერს ჯგუფმა აიღო საკრედიტო ხაზი სს „პროგრედიტ ბანკისგან“ 290 000 ლარი. სესხის პირობა: ათვისებულ თანხაზე - 13,5%-იანი განაკვეთი, აუთვისებელზე - 2%-იანი განაკვეთი. სესხის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს - 289 450 ლარს.

2022 წლის 10 ნოემბერს ჯგუფმა აიღო საკრედიტო ხაზი სს „პროგრედიტ ბანკისგან“ 100 000 ლარი, სესხის პირობა: ათვისებულ თანხაზე - 13,5% -იანი განაკვეთი, აუთვისებელზე - 2 % -იანი განაკვეთი. სესხის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს - 100 000 ლარს.

ასევე მოკლევადიანი სესხის სახით ერიცხება გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი 34 178 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი სესხების ნაშთი შეადგენს 1 146 679 ლარს.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022	2021
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	868 224	192 648
მიღებული ავანსები	3 133 358	2 794 541
გადასახდელი ხელფასები	3 357	4 027
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	35 495	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4 656	-
სულ	4 045 090	2 991 216

12. დარიცხული ვალდებულებები

ჯგუფის დარიცხული ვალდებულებები 2022 და 2021 წელში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	2022	2021
დარიცხული პროცენტები	177 912	151 196
საპენსიოს ვალდებულებები	11 451	-
დარიცხული დივიდენდები	364 286	-
სულ	553 649	151 196

13. ამონაგები

ჯგუფის ამონაგები 2022 და 2021 წელში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	2022	2021
შემოსავალი რეალიზიციიდან	7 540 421	5 307 947
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(118 492)	(36 370)
სულ	7 421 929	5 271 577

14. სხვა შემოსავალი

ჯგუფის სხვა შემოსავლები 2022 და 2021 წელში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

	2022	2021
სუბსიდირებული პროცენტი	111 523	59 159
საპროცენტო შემოსავალი	-	20 776
ძირ.საშუალებების რეალიზაცია	48 764	-
საგადასახადო შეღავათი	-	7 980
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13 587	13 822
სულ	173 874	101 737

15. მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022	2021
რეკლამის ხარჯი	(20 003)	-
შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო	(59 489)	-
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(55 528)	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(232 893)	-
მიწოდების სხვა ხარჯები	(200 505)	(281 010)
სულ	(568 418)	(281 010)

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(307 191)	(563 720)
სოციალური დანარიცხები	(7 966)	(6 777)
კომუნიკაციის ხარჯი	(6 903)	(7 197)
რემონტის ხარჯი	-	(26 563)
საკონსულტაციო ხარჯი	(27 000)	(30 217)
ცვეთა და ამორტიზაცია	(46 753)	(242 844)
ელ. ენერგიის ხარჯი	-	(31 310)
იჯარის ხარჯი	(63 610)	(62 429)
პროგრამული უზუნვეყოფის ხარჯი	(5 796)	(4 050)
დაზღვევის ხარჯი	(11 224)	(6 111)
მივლინების ხარჯი	(14 999)	(2 260)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(17 419)	(17 102)
საექვო მოთხოვნებთან დაკავ. ხარჯი	(23 720)	-
სერტიფიცირების ხარჯი	(16 040)	-
ფიტო-სანიტარული მომსახურების ხარჯი	(12 775)	(5 125)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(48 125)	(19 991)
სხვა საერთო ხარჯები	(107 386)	(144 633)
სულ	(716 907)	(1 170 329)

17. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე ნაშთები შემდეგია:

ა) ჯგუფს 2020 წლის 06 აგვისტოს ხელშეკრულებით მიღებული აქვს გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი ურთიერთდაკავშირებული მხარისგან შპს „VIGOR GROUP“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 1 259 857 ევროს (ექვივალენტი ლარში 3 633 932 ლარი.) წლიური საპროცენტო განაკვეთი 2%.

ბ) ჯგუფს 2021 წლის 09 ივნისის შეთანხმებით მიღებული აქვს გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი ურთიერთდაკავშირებული მხარისგან შპს „VIGOR GROUP“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 326 488 დოლარს (ექვივალენტი ლარში 882 170 ლარი.)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „VIGOR GROUP“-სგან მიღებული სესხები ასახულია (შენიშვნა 9-ში) გრძელვადიანი სესხების მუხლში.

ტრანზაქციები, შემოსავლები და ხარჯები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან 2022 და 2021 წლების განმავლობაში არის შემდეგი:

	2022		2021	
	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ხელფასები და სხვა	15 306	72 500	15 306	80 000
საკომპენსაციო ანაზღაურება				

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ჯგუფმა 2023 წელს ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში განახორციელა შემდგომი მოვლენები:

ა) სს „პროგრედიტ ბანკი“ -სგან აიღო მოკლევადიანი სესხი - საკრედიტო ხაზი ხელშეკრულების N 1.10327 – 290 000 ლარი, დაფარა სრულად 2023 წლის 13 სექტემბერს.

ბ) სს „პროგრედიტ ბანკი“ - სგან აიღო მოკლევადიანი სესხი - საკრედიტო ხაზი 400 000 ლარი, წლიური - 12,8 %. აღების თარიღი 2023 წლის 13 სექტემბერი დაფარვის თარიღი 2024 წლის 13 სექტემბერი.

გ) გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი ურთიერთდაკავშირებული მხარე შპს „VIGOR GROUP“-სგან უცხოურ ვალუტაში 170 000 ევრო (ექვივალენტი ლარში 485 945 ლარი).

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 29 სექტემბერს.